საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1562 2016 წლის 2 აგვისტო ქ. თბილისი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მიერ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით განხორციელების შესახებ

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის 3^1 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის ღონისძიებების შეზღუდულ ვადებში შეუფერხებლად ჩატარების მიზნით, მიეცეს უფლება საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სისტემაში შემავალ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას, არასაბიუჯეტო შემოსავლების ფარგლებში, კონსერვატორიის შენობის ცენტრალური (დიდი) დარბაზისა და ინტერიერის სარემონტო-სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელებისათვის საჭირო 132 755 (ას ოცდათორმეტი ათას შვიდას ორმოცდათხუთმეტი) ლარის

მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს გამარტივებული ელექტრონული ტენდერის მეშვეობით.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**